ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №228

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 16 დეკემბერი 2013 წელი

## 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბაბილუას სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე მაიკო კარანაიას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „შემსყიდველი" თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 დეკემბრის №601 ბრძანების საფუძველზე შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს თვითმმართველ ქალაქ ფოთში, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიების მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება").

## 2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - თვითმმართველ ქალაქ ფოთში, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიების მომსახურების შესყიდვა (დანართი №1, 2).

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.3 სატენდერო განცხადების ნომერი - **SPA130025155** (ტენდერი არ შედგა).

2.4 შესყიდვის კატეგორია - **79900000** - სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები

კლასიფიკატორის **(CPV)** კოდი - **79952100** -კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **28800** (ოცდარვა ათას რვაასი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 7 იანვრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ ფაქტურა და სხვა).

## 5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ოთხი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაბილუა

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი

ა/ა GE 49BG0000000912389300 ბ/კ BAGAGE22
ს/კ № 215138143

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე

მაიკო კარანაია

მის: ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. №29
სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი

GE 43 BG0000000307035300 ბ/კ BAGAGE22
ს/კ 42001025310

დანართი №1

# შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება

## ფასების ცხრილი

| № | მომსახურების დასახელება | განზომილება | ღირებულება | მოწოდების ადგილი და ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | ფეიერვერკი (2 წუთიანი ხანგრძლივობით სხვადასხვა მუხტის , არანაკლებ 180 გასროლით, გასროლის სიმაღლე 50 დან 250 მეტრამდე) | | 2000,00 | თვითმმართველი ქალაქ ფოთი, რუსთაველის რკალი, 2013 წლის 31 დეკემბერი დასაწყისი -$24^{00}$ სთ |
| 2. | წამყვანი | 2 წამყვანი | 300,00 | |
| 3. | ღონისძიების ვიდეო გადაღებით მომსახურეობა | ყოველდღე $2^{00}$–$2^{00}$ საათი | 300,00 | 2013 წ 31 დეკემბერიდან 2014 წლის 7 იანვრის ჩათვლით |
| 4. | თოვლის ბაბუა საახალწლო ხურჯინით, ზღაპრის გმირები არანაკლებ 3 წევრისა, ყოველდღე ორსაათიანი საბავშვო გასართობი პროგრამით | | 1500,00 | 2014 წ 1--4 იანვარი დასაწყისი $12^{00}$ საათი 7 იანვარი $2^{00}$ საათი |
| 5. | ტკბილეული, თოვლის ბაბუის საახალწლო ხურჯინისთვის (კარამელის ასორტი სხვადასხვა ხილის შიგთავსით, შოკოლადის ასორტი, შოკოლადი შავი შიგთავსით) | 50 კგ | 300,00 | 2014 წ 1--4 იანვარი დასაწყისი $12^{00}$ საათი 7 იანვარი $2^{00}$ საათი |
| 6. | მოსაწვევები (საახალწლო გაფორმებით, წარწერით-ქალაქ ფოთის თვითმმართველობა, ცარცის ქაღალდით, ზომით--20X10 სმ, შუაში კეცვადი) | 1 000 ცალი | 300,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 7. | სიგელი | 20 ცალი | 150,00 | |
| 8. | საბავშვო საახალწლო სპექტაკლები | 8-ჯერ, 1 სპექტაკლის ხანგძლივობა $1^{00}$ საათი | 2000,00 | ქალაქი ფოთი, ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი 2013 წლის 27–28 დეკემბერი, 2014 წლის 3-4 იანვარი, დასაწყისი $11^{00}$ და $16^{00}$ საათი |
| 9. | კონცერტი (არანაკლებ 2 ქართული ესტრადის მომღერლისა), მუსიკალური მიუზიკლი (არანაკლებ 7 წევრისა) | $1^{30}$ საათი | 5000,00 | რუსთაველის რკალი, ცენტრალური პარკი |
| 10. | სცენის ფეიერვერკი | სცენის შადრევანი 30 ცალი | 500,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 11. | საჰაერო ბურთი (ფრანი) | 40 ცალი | 100,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 12. | ტრანსპორტით უზრუნველყოფა | | 200,00 | |
| 13. | საახალწლო საჩუქრები (საახალწლო მუყაოს ჩანთა, ფერადი, ნახატებით, წარწერით- შობა-ახალ წელს გილოცავთ ქალაქ ფოთის თვითმმართველობა, ერთ შეფუთვა უნდა შეიცავდეს - კარამელი 150 გრამი-26 ცალი; შოკოლადის კანფეტი -145 გრამი-10 ცალი; ერთი შეკვრა საბავშვო შოკოლადის ჩხირები-არანაკლებ 52 გრამიანი, საბავშვო შოკოლადის ბატონი არანაკლებ 27 გრ 2 ცალი, შოკოლადის კვერცხი არანაკლებ 20 გრ -1ცალი, ბისკვიტი დათუნიას გამოსახულებით -30 გრ 1 ცალი, „ქელიბონი" 1 შეკვრა,ვაფლის ტორტი | 1 000 ცალი | 10000,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | არანაკლებ 30 გრამისა, სენდვიჩის ორცხობილა არანაკლებ 50 გრამისა, შოკოლადის ფილა არანაკლებ 45 გრამისა, სუვენირი (შეთანხმებით) საახალწლო საჩუქრების ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2014 წლის 1 ივნისამდე. | | | |
| 14. | ხარ-ურემის დაქირავება-ტრანსპორტირება | 3 უღელი ხარი | 650,00 | 2014 წლის 7 იანვარი |
| 15. | პლასმასის ფერადი საზავშვო ქოხი 2 ცალი, კარ -ფანჯრებით, არანაკლებ 133X157X147.5 სმ, პლასმასის ფერადი საზავშვო ქოხი გოგრის ფორმის 2 ცალი, კარ -ფანჯრებით, არანაკლებ 141X141X142 სმ, არსებული ქოხის (2.2 X1.5X1.5 მ) განახლება, კიბის მიდგმა, მოხატვა და 0,5 მ სადგამზე (ფეხზე) დამონტაჟება | 4 ცალი ქოხი | 2600,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 16. | ფერადი ღობე საზავშვო ქოხებისთვის სიგრძით არანაკლებ 12 მეტრი, სიმაღლით 0.56 მეტრი. | | 400,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 17. | სცენა მოაჯირით -ხის მასალის 2X2 მ, სიმაღლით არანაკლებ 0.3 მ (საახალწლო სოფლის მოწყობისათვის) | | 600,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 18. | არსებული სცენის (კედელი არანაკლებ 5X12) საახალწლო მანათობელი ფარდით გაფორმება, საახალწლო სოფლის მოწყობა და გაფორმება, აპარატურის მომსახურეობა. | | 1300,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 19. | ელ. სადენი 80 მ --2/4 მმ$^2$ ჰალოგენის ნათურები -189 მმ, 1000w –10 ცალი, საიზოლაციო ლენტი -8 ცალი, სკოჩი (დიდი)-5 ცალი, ელ.გამანაწილებელი მაღალი გამტარობის -10 ცალი,თოკი -- 100 მ 1 კგ, ლურსმანი 100 მმ-1 კგ, სარჩილავი (პაიანიკი)-1 ცალი, ელემენტი-- A4 დასატენი -6 ცალი. | | 200,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| 20. | ტენტი (ფერადი, სიგრძე 17 მ, სიგანე 1.30 მ, ქალაქ ფოთის თვითმმართველობა გილოცავთ შობა–ახალ წელს | | 400,00 | 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით |
| | სულ ღირებულება | 28 800,00 | | |

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაზილუა

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე

მაიკო კარანაია

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსი

ლელა კემულარია

დანართი №2

პრეტენდენტის რეკვიზიტები

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება- ინდივიდუალური მეწარმე

იურიდული პირის ხელმძღვანელის ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი -
მაიკო კარანაია

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი- ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. №29

საიდენტიფიკაციო კოდი ან ფიზიკური პირის შემთხვევაში
პირადი ნომერი - 42001025310

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი - 5(93) 023134

ელ-ფოსტა: maiko.karanaia@rambler.ru

ბანკის დასახელება და ბანკის კოდი- ს.ს ,,საქართველოს ბანკი"
ფოთის ფილიალი, **BAGAGE22**

ანგარიშის ნომერი - **GE 43 BG0000000307035300**

საქართველო
თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულო
**Self-Governing City of Poti Sakrebulo**

№2-03/2759 16/12 2013 წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თვითმმართველ ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით, შევისყიდით კულტურული ღონისძიების, კერძოდ: შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურებას. ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადება №**SPA130025155**) ზემოხსენებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით არ შედგა. თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება თან ერთვის (იხილეთ დანართი 1).

საკრებულოს თავმჯდომარე დ. [signature] დავით ბაბილუა

საქართველო, 4400, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12; ტელ/ფაქსი: 0(493)225700; 221386, ელ-ფოსტა: **potisakrebulo@gmail.com**
**№12,Agmashenebeli str. 4400 Poti, Georgia, Te/fax: (+995) 493 225700; 221386, E-mail: potisakrebulo@gmail.com**

საქართველო

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის

# ბრძანება

№ 601 „16" 12 2013 წელი, ქალაქი ფოთი

**თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კულტურული ღონისძიების, კერძოდ: შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვის შესახებ**

კულტურული ღონისძიების, კერძოდ: შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადება **SPA130025155**) არ შედგა. შობა - ახალი წელი – ყველაზე ჯადოსნური და ნანატრი დღესასწაულია. ზემოაღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებით თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს დაგეგმილი აქვს სადღესასწაულო ღონისძიებები და საუცხოო საახალწლო პროგრამა, როგორც დიდებისათვის ასევე ბავშვებისათვის. ელექტრონული ტენდერის ხელმეორედ გამოცხადება გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების დადება ვერ ესწრება.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური 2013 წლის 12 დეკემბრის Nშ/908 მოხსენებითი ბარათით ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვას, თანხით 28800 ლარი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნას კულტურული ღონისძიების, კერძოდ: შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურება, თანხით 28800 ლარი.

2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს ანგარიშსწორება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტისა და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუა

საფუძველი: ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მერის 2013 წლის 16 დეკემბრის N-1-05/4240 მომართვა.

შემსრ: იურიდიული განყოფილება